ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5558482

ნომერი: AR1845192

თარიღი : 19.08.2021

გაცემის თარიღი : 20.08.2021

გაცნობის თარიღი : 20.08.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნარიმანოვი , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ძლიერიშვილი პ/ნ 35001005358
- რუსთავი გ.ოდიშარიას ქ. კორ. 25 ბ. 8

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ნადიკვარი-96
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204391880
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თამარ მამამთავრიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008043844

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1214.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 793.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3262.2

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 3262.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1845192 (19/08/2021) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში , ქუჩა ნარიმანოვის N10-ში (ს.კ 01.18.01.002.053) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟს.
თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 05 მარტის № 5313299 ბრძანებით ქ. თბილისში , ქუჩა ნარიმანოვის N10-ში (ს.კ 01.18.01.002.053) შეთანხმებული პროექტის საფუძველზე გაიცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

№ 5313299 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტისა და კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით, მშენებლობის ნებართვის გაცემიდან უნდა განხორციელებულიყო მშენებლობის რამდენიმე ეტაპი.
ვინაიდან არსებული შენობების დემონტაჟი გაწერილი იყო პირველ ეტაპად, სანებართვო პირობებით გათვალისწინებული, ნებართვის მფლობელს უნდა ეცნობებინა საჯარო ზედამხედველობის ორგანოსათვის მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ.
წარმოდგენილი განაცხადით და მასზე თანდართული ფოტოებით დგინდება რომ ტერიტორიაზე სადემონტაჟო სამუშაოები არ არის ნაწარმოები და დარღვეულია სამსახურის № 5313299 ბრძანებით განსაზღვრული ეტაპები, დარღვეულია სანებართვო პირობები. შესაბამისად საჭიროა მოხდეს კორექტირებული ნებართვის ნომენკალტურით მომართვა კორექტირებული მშენებლობის გრაფიკის თანდართვით და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 2021 წლის 19 აგვისტოს AR1845192 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.